სკკპ XXIV კრებაზე მიღებული ეროვნულ-ეკონომიური და სოციალური გარდაქმნების პროგრამა დიდ ამოცანებს უსახავს საბჭოთა სახვითი ხელოვნების მუშაკებს. მათი გადაწყვეტა მარტო შემოქმედებითი ახალგაზრდობის ნიჭის განვითარებას კი არ მოითხოვს, არამედ კომუნისტური იდეურობის, საკრავი მოქალაქეობრივობის სულისკვეთებით მათს აღზრდასაც. ეიმისათვის შემოქმედებითი ცვლისათვის ზრუნვა იმას ნიშნავს, რომ ვზრუნავდეთ, ახალგაზრდებისათვის პროფესიული ჩვეულების ჩასანერგავად, ხელოვან-მოქალაქეთა აღსაზრდელად, რომლებიც მზად არიან ერთგულად ემსახურონ ხალხს.

კარგად არის ცნობილი, — თქვა შემდეგ ამხ. ვ. ჯაფარიძემ, — ის პროცესები, დადებითი ძვრები, რომლებიც ახლა ხდება რესპუბლიკაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით. აღმოიფხვრება წარსულის შეცდომები და ნაკლოვანებები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ფართოდ გაფანტული მე-14 პლენუმზე, რომელზეც შინაარსიანი და საფუძვლიანი სკკ-ბიუროს ანგარიში, ეროვნული ნიჭიერების, ეროვნული ფერისცვალებისა და ეროვნული ფასეულობების ეროვნული ინტერესებიდან, ეროვნული ინტერესებიდან, ეროვნული ინტერესებიდან,

საბჭოთა კავშირ-შრი ლანკის ერთობლივი კომუნიკე

საბჭოთა მთავრობის მოწვეთით 1974 წლის 11-16 ნოემბერს საბჭოთა კავშირში ოფიციალური ეწვიტით ეყო შრი ლანკის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი სიირიმავო რ. დ. ბანდარანაიკე.

ფოსლვის დარდა, პრემიერ-მინისტრი ეყო საქართველოს სს რესპუბლიკაში, გეეცნო ეალეკეულ სამრეწველო საწარმოებს, ელექტრულ დაწესებულებებს, შეხვდა საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.

ბეიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ი. ტ. არხიპოვის, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის მინისტრის ნ. ს. პატოლიჩევის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ს. ა. სკ�კოვის მოლაპარაკება შრი ლანკის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან. პრემიერ-მინისტრს ახლდნენ: შრი ლანკის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში დოქტორი ტ. ბ. �იტაგუნე, პრემიერ-მინისტრის მდივანი დპარმასირი პილისი, თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანი ტისა ვეჭერატნე. პრემიერ-მინისტრის მდივანი მაკი რატვატე ანურა ბანდარანაიკე, თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიური განყოფილების გამგე ელმი სენევირატნე, მრეწველობისა და მეცნიერული კვლევის მინისტრი ბოსკოდა ეალეკეულ, ფინანსთა სამინისტროს მდივანი ბ. ბ. ფერნანდო, ირიგაციის, ენერგეტიკისა და გზატიკეულების სამინისტროს ცენტრალური საკონსულტაციო ბიუროს მთავარი ინჟინერი ჯ. ე. გუნეგარდენა, შრი ლანკის რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს მრჩეველი ვისვა ვარნაპალა.

მოლაპარაკების დროს, რომელიც მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, განიხილეს საბჭოთა კავშირი-შრი ლანკის ორმხრივი ურთიერთობის საკითხები, იმერთვი ურთიერთსაინტერესო საერთაშორისო პრობლემები.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირსა და შრი ლანკის რესპუბლიკას შორის დამყარდა და წარმატებით ვითარდება მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა, რომელსაც მტკიცე საძირკველზე ჩაეყარა შრი ლანკის გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის სოლომონ ო. რ. დ. ბანდარანაიკეს სიცოცხლეშიც. და აღნიშნეს, რომ ურსებობს სხვადასხვა დარგში საბჭოთა კავშირ-შრი ლანკის ურთიერთობის შემდგომი ნაყოფიერი განვითარების კარგი პერსპექტივები.

თრეეე მხარემ დადასტურა, რომ თავიანთი სახელმწიფოების ინტერესების შესაბამისად ისწრაფვიან გაფართოონ და გაღრმავონ ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობა, მეცნიერული და კულტურული კონტაქტები.

მხარეებმა აღნიშნეს, რომ კარგი შედეგები აქვს საბჭოთა კავშირ-შრი ლანკის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას, რომლის საფუძველია თანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპები. მათ გამოთქვეს მისწრაფება კვლავაც ამითარებდნენ ორი ქვეყნის ვაჭრობას და ამ მიზნით შეთანხმდნენ, რომ მხარეთა წარმომადგენლები უახლოეს ხანებში გამართავენ მოლაპარაკებას და ხელს მოაწერენ 1975 წელს სსრ კავშირსა და შრი ლანკის შორის საჭონელმრეწველის ოქმს, რომელშიც გეითვალისწინებენ საქონლის ურთიერთმიწოდების შემდგომ გაფართოებას.

საუბრებისა და მოლაპარაკების დროს დადასტურდა, რომ ერთმანეთის ემთხვევა ან უახლოვდება სსრ კავშირისა და შრი ლანკის პოზიციები თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებში და გამოთქვეს ურთიერთმესწრაფება ყოველი ღონისძიებით შეიწყონ ხელი მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და მეგობრული თანამშრომლობის პრინციპების ძალის გამოყენებლობის, სოციალისტისა და საზღვრების ხელშეუხებლობის, პატივისცემის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ეკონომიური და სხვა თანამშრომლობის ფართო და თანასწორუფლებიანი განვითარების პრინციპებზე, ხელს შეუწყობენენ მყარი მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის მთელ მსოფლიოში.

შრი ლანკის მხარემ ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრებანი ინდოეთის ოკეანის მშვიდობის ზონად გადაქცევის წინადადების შესახებ. საბჭოთა მხარემ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს ამ იდეას, რომლის მიზნია სახელმწიფოთა ეროვნული სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის განმტკიცება, ამ რაიონში ომიხეოთის საამხედრო ბაზების ლიკვიდაცია. ორივე მხარემ დაადასტურა მზადყოფნა ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოსთან ერთად თანასწორუფლებიან საფუძველზე მიიღონ მონაწილეობა ამ საკითხის კეთილად გადაწყვეტის გზების ძიებაში, რომ ინდოეთის ოკეანე გადაიქცეს მშვიდობის ზონად საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად.

აღნიშნავენ რა დადებითს ფაქტორებს აზიის მდგომარეობის განვითარებაში, სსრ კავშირი და შრი ლანკა მოუწოდებენ ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებს, ეროვნული თანხმობის დამკვიდრებისათვის. მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ინდოჩინეთის პრობლემები ამ რაიონის ქვეყნების ხალხებმა ორივ გადაჭრან. მათი ანონიერი უფლებების პატივისცემის საფუძველზე ეს ეროვნული ჩაცხოვრებულ. ეკრეთვე ხაზგასმით აღინიშნა, რომ პარიზის შეთანხმების მთლიანად ონდა ასრულებდეს მისი ყველა მონაწილე.

საუბრების დროს ეკრეთვე აღინიშნა, რომ ბარეველი წარმატებანია ინდოჩინეთ აზიის სუბკონტინენტზე ვითარების მოწესრიგების სამეცნიერო. ინდოეთი, ბანგლადეშში და პაკისტანი კონსტრუქციულად მიუდგნენ ამ რაიონში არსებულ მთელ რიგ საფიანი საკითხთა გადაწყვეტას მოლაპარაკების გზით. საბჭოთა მხარე მიესალმა შრი ლანკისა და ინდოეთის შეთანხმებას პოლკის სრუტეში ორი საზღვაოსნო საზღვარ საზღვრის შესახებ და სხვა საკითხებზე.

საბჭოთა კავშირსა და შრი ლანკას მიაჩნიათ, რომ ყველა ქვეყნის ერთობლივი მოქმედება, რომლის მიზანია ერთმანეთთან ურთიერთობის დამყარება მშვიდობიანი თანაარსებობისა და ეკონომიური თანამშრომლობის, უწინარეს ყოვლისა სახელმწიფოთა ურთიერთობაში ძალის გამოყენებლობის, სოციალისტისა და საზღვრების ხელშეუხებლობის, პატივისცემის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ეკონომიური და სხვა თანამშრომლობის ფართო და თანასწორუფლებიანი განვითარების პრინციპებზე, ხელს შეუწყობენენ მყარი მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის მთელ მსოფლიოში.

მხარეებს მიაჩნიათ, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მიღწეული დიდმნიშვნელოვანი შეთანხმებანი კვლავაც ხელს შეუწყობენ საერთაშორისო ვითარების საერთო გაუმჯობესებას, დაძაბულობის შენელებას.

კმაყოფილებით აღინიშნა შემდგომი საერთაშორისო ძაბები ევროპის კონტინენტზე მტკიცე მშვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობის საძირკვლის შექმნის გზაზე. მხარეები მიესალმნენ მნიშვნელოვან წვლილს, რომელიც ამ პროცესში შეიტანა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის, და გამოთქვეს იმედი, რომ ეხი წარმატებით დამთავრდება ოუსლოოს ხანში და ოუსლოოს ხანში ეს ეროვნულ დონეზე მიიღებს დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტებს.

მხარეებმა განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი, რომ საჭიროა ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს აქტიური მოქმედება ომის საფრთხის ფაქტორებ ლიკვიდაციისათვის, მათ სერიოზული შემეოდეთა გამოთქვეს ევროპაში შექმნილი მდგომარეობის გამო და მხარი დაუჭირეს ევროპაზეს საკითხის ეს ეროვნულად და სამართლიანად გადაწყვეტას ევროპაზეს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის საფუძველზე ევროპიანებელი ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

ორივე მხარე ეიტვის ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგებისათვის და ომამდეა დარწმუნებული, რომ ახლო აღმოსავლეთში, ამ რაიონის ყველა სახელმწიფოსა და ხალხის უშიშროების და დამოუკიდებელი განვითარების ინტერესების შესაბამისად, მტკიცე და სამართლიანი მშვიდობა შეიძლება დამყარდეს მხოლოდ იმ საფუძველზე, თუ შესასრულებენ უშიშროების საბჭოს შესაბამის რეზოლუციებს, ისრაელ მთლიანად გაიყვანენენენ ჯარებს 1967 წელს დაპყრობილი ყველა არაბული ტერიტორიიდან და უზრუნველყოფენ პალესტინის არაბი ხალხის ლეგიტიმური ეროვნული უფლებებს, მხარეები მოითხოვენ, რომ რაც შეიძლება მალე განაახლოს მოუშაობა ჟენევის ხაზეთ კონფერენციამ ახლო აღმოსავლეთის შესახებ.

საბჭოთა კავშირი და შრი ლანკა გადაჭრით გმობენ ჩილეს ხუნტის სასტიკ აქციებს ჩილეს პროგრესული და დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირი და შრი ლანკის რესპუბლიკა, რომელნიც აქტიურად იბრძვიან კოლონიალიზმის, რასიზმისა და აპარტეიდის აღმოფხვრისათვის, მჭიდროდ თანამშრომლობენენ და თანამშრომლებენენ საერთაშორისო ასპარეზზე, რათა ხელი შეუწყონ ეერ კიდევ კოლონიურ ბატონობაში მყოფი ქვეყნების და ხალხების სამართლიან ბრძოლას განთავისუფლებისათვის. მხარეებს დიდმნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნიათ პორტუგალიის კოლონიური იმპერიის დაშლა გვინეა-ბისაუს, მოზამბიკის, ანგოლის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა და პორტუგალიელი ხალხის ანტიფაშისტური მოძრაობის შედეგად. მათ მიაჩნიათ, რომ ეს მოვლენა დიდმნიშვნელოვანი ეტაპია ფორმალური კოლონიალიზმის საბოლოო ლიკვიდაციის გზაზე.

საბჭოთა მხარე მაღალ შეფასებას აძლევს მიუმხრობლობის პოლიტიკას, რომელსაც შრი ლანკის რესპუბლიკის მთავრობა ადგას საერთაშორისო საქმეებში, და გამოთქვამს იმედს, რომ მეგობრული ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების შემდეგი კონფერენცია, რომელიც კოლომბოში უნდა გაიმართოს 1976 წელს, თავის წვლილს შეიტანს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებაში, კოლონიალიზმის, რასიზმისა და აპარტეიდის აღმოფხვრაში.

საბჭოთა კავშირმა და შრი ლანკამ დადასტურეს, რომ მხარეს შეერენენ საერთაშორისო ერების ორგანიზაციას როგორც მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების დიდმნიშვნელოვან ინსტრუმენტს. მხარეებს მიაჩნიათ, რომ საერთაშორისო ერების ორგანიზაციამ დადებითი როლი უნდა შეასრულოს მთელ მსოფლიოში საერთაშორისო დაძაბულობის შენელების განმტკიცებისა და ადამიანების ფონისძიებათა გაფართოებაში.

ა. კოსიგინი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

სირიმავო რ. დ. ბანდარანაიკე
შრი ლანკის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი.

მონგოლეთის სახალხო რევოლუციის 50-ე წლისთავისადმი

ერენგოლეთი ადგეს



ულან-ბატორის თბილელექტროცენტრალი მონგოლეთის ენერგეტიკული მრეწველობის ერთ-ერთი უდიდესი ობიექტია. ოთხ წლის მანძილზე. მის მშენებლობაში მონგოლი მშენებელი-ენერგეტიკოსების მხარდამხარ თავდადებულად შრომობდნენ საბჭოთა სპეციალისტებიც.

სურათზე: ულან-ბატორის თბილელექტროცენტრალი.

ხაჟდუხის ფოტო

ულან-ბატორის სართულები

ახალი საცხოვრებელი კვარტალებით დაიფარა ულან-ბატორის სამხრეთი რაიონი. ახლა შენდება მორიგი მიკრორაიონი დედაქალაქის ცენტრში. ასმა ოჯახმა აქ უკვე იხეიმა ახალმოსახლეობა. 1980 წლისათვის მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქის საცხოვრებელი ბინების ფონდი კიდევ 2,5 მილიონი კვადრატული მეტრით გაიზრდება.

საბჭოთა ტექნიკის დახმარებით

მონგოლეთის საბჭოთა მეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებათა მინდვრებში მარცვლეულის მოსავლის აღება 13 ათასზე მეტ ტრაქტორი და ორი ათასი კომბაინი მუშაობდა. მარტო წლევანდელ ხეზონში საბჭოთა მეურნეობებმა სსრ კავშირიდან 800-ზე მეტი სხვადასხვა მარკის ტრაქტორი მიიღეს. პირველად ეაღების მოსავალი ოსტროვის „ხკ-6“ და „ნივას“ მარკის კომბაინებმა. საბჭოთა ტექნიკის დახმარებით მონგოლმა მხვნელ-მთესველებმა უმოკლეს ვადაში დაამთავრეს მოსავლის აღება.

ვითარდება ეროვნული სელოვნება

სოციალიზმის განვითარების წლებში მონგოლეთში შეიქმნა თეატრების ფართო ქსელი. მარტო ულან-ბატორში არის ოპერისა და ბალეტის, დრამატული, საბავშვო, თოჯინების თეატრები, ცირკი. დიდად პოპულარულია სიმღერისა და ცეკვის სახალხო და საარმიო ანსამბლები, სიმფონიური ორკესტრი. მონგოლეთის დედაქალაქში წარმატებით მუშაობენ კინოსტუდია, ხელოვნებათა სასწავლებელი.

პროფესიული თეატრები ბევრ ადგილზეა გახსნილი. აღმოსავლეთ ადგილას მუსიკალურ-დრამატული თეატრის რეპერტუარშია მონგოლ ავტორთა პიესები, რუსი და საბჭოთა მწერლების — გოგოლის, ჩეხოვის, პოგოდინის და სხვათა ნაწარმოებები.

ეუბილეს მიუძღვნიან

ზემოქმედებითი წარმატებებით ეგებებიან მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს კომპოზიტორები, ამას წინათ პირველად შესრულდა მონგოლეთის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ბ. დამდინსურენის ახალი ოპერა „დაუვიწყარი 42 დღე“. იგი ეძღვნება რევოლუციონერებს, რომლებმაც თავი დასდეს სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ლ. ბურდორჟი ამთავრებს მუშაობას ახალ ოპერაზე, რომელიც ეძღვნება ნორნი რევოლუციონერის ტ. ბორის ცხოვრებას. საკონცერტო დარბაზებში, რადიოში ეზერს ახალი სიმფონიები, კანტატები, ორატორიები, რომლებიც უმღერის ბედნიერ ცხოვრებას და მონგოლი ხალხის შემოქმედებითს შრომას.

საჩუქრად კიონერებს

ულან-ბატორში შენდება ნორნ ტექნიკოსთა სახლი. მის სხვადასხვა წრეებსა და სექციებში 2.500 ბავშვი ამეცადინეობს, სახლი აღჭურვილი იქნება უახლესი ტექნიკური მოწყობილობით. აქ იქნება ობსერვატორია, გამოთვლითი ცენტრი, კოსმოსის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის დარბაზები, კინოდარბაზი, ფოტოლაბორატორიები.

მონგოლი პიონერები ამ ჩინებულ საჩუქარს 1975 წელს, თავიანთი ორგანიზაციის 50-ე წლისთავისათვის მიიღებენ.

ამბები • ფაქტები

საკვლევი და ეცხოელთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

არჩევნები საგერძნეთში

ათენი, 18 ნოემბერი. (საკვლევი). გუშინ საბერძნეთში გაიმართა პარლამენტის არჩევნები. წინასწარი მონაცემებით, რომელსაც საფუძვლად უდევს ხმების დათვლა საარჩევნო ოლქების 80 პროცენტში, არჩევნებში გაიმარჯვა პარტიამ „ახალმა დემოკრატიამ“, რომელსაც მეთაურობს პრემიერ-მინისტრი კ. კარამანლისი. ამ პარტიამ მიიღო ხმების დაახლოებით 55 პროცენტი. მეორე წამყვანმა ბურჟუაზიულმა პარტიამ „ცენტრის კავშირმა — ახალმა ძალებმა“, რომელსაც მეთაურობს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი გ. მავროსი, მიიღო ხმების 20 პროცენტი.

საარჩევნო ბლოკმა „ერთიანი მემარცხენეებმა“, რომელშიც შედიან კომპარტია და მთელი რიგი სხვა პროგრესული პარტიები და ორგანიზაციები, მიიღო ხმების დაახლოებით 9 პროცენტი. პარტია „სრულიად საბერძნეთის სოციალისტურმა მოძრაობამ“ ა. პაპანდრეუს მეთაურობით, რომელიც მემარცხენეცენტრისტული ძალების წარმომადგენელია, ხმების 13 პროცენტზე მეტი მიიღო.

ჯერჯერობით გაურკვეველია, რამდენი ადგილი ექნება პარლამენტში თითეულ პარტიას, რომელიც არჩევნებში მონაწილეობდა, პარლამენტში ადგილების განაწილების ძალიან რთული სისტემის გამო. მაგრამ, როგორც ფიქრობენ, პარტია „ახალ დემოკრატიას“ ექნება 200-ზე მეტი ადგილი, მაშინ როცა ადგილების საერთო რაოდენობაა 300.

შეიქმნა ახალი მთავრობა

ანკარა, 18 ნოემბერი, (საკვლევი). თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ფაარი კორუთურქმა მოიწონა ახალი მთავრობის შემადგენლობა სენატორ სადი ირმაკის მეთაურობით.

საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი მთავრობაში დაიკავა მელიპ ეესენბელმა — თურქეთის ყოფილმა ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ეროვნული თავდაცვის მინისტრის პოსტი — ილჰამი სანჯარმა.

მთავრობის შემადგენლობაში ბევრი დამოუკიდებელი სენატორია. ამავე დროს მთავრობაში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი პოლიტიკური პარტია — ნდობის რესპუბლიკური პარტია, რომელმაც 5 მინისტრის პორტფელი მიიღო.

ახალი მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა მოამზადოს და მოაწყოს ქვეყანაში პარლამენტის ვადამდე არჩევნები. როგორც აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, ეს არჩევნები 1975 წლის გაზაფხულზე გაიმართება.

ბრძოლები პნომპენთან

ბანგკოკი, 18 ნოემბერი. (საკვლევი). კამბოჯის განთავისუფლების ძალებმა გააქტიურეს შეტევები მოქმედება ქვეყნის დედაქალაქ პნომპენის რაიონში. პატრიოტთა არტილერიამ რაკეტები დაუშინა მოწინააღმდეგის ობიექტებს პნომპენის გარეუბნებში. გააფთრებული ბრძოლები დაიწყო დედაქალაქის აღმოსავლეთის მისადგომებთან. პატრიოტთა ქვეგანაყოფები, რომლებსაც მხარს უჭერდნენ ეეცხლით მძიმე საარტილერიო ქვემეხები, იერიში მიიტანეს ლონ ნოლის ჯარების პოზიციებზე 10 კილომეტრზე პნომპენიდან მეკონგის აღმოსავლეთ ნაპირზე. მოწინააღმდეგეს სერიოზული ზარალი მოუვიდა.

ისრაელი ამყვავებს ვითარებას

- **ლვარძლიანი კამპანია სირიის წინააღმდეგ**
- **ჯარები საბრძოლოდ არიან გამზადებული**
- **ა. სადათის თათბირი**

დამასკო, 18 ნოემბერი. (საკვლევი). აქ გამოაქვეყნეს სირიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ვანნეს საბერეს ინტერვიუ. ინტერვიუში ეეცხადა, რომ ისრაელი ამზადებს ახალ ომს ახლო აღმოსავლეთში. ეეთქვა, ისრაელი ცდილობს თავისი ხალხის ყურადღება ჩამოაცილოს საშინაო პრობლემებს, ამასთან შეუქმნას შთაბეჭდილება, თითქოს სირია ემუქრებოდეს.

სირიის არაბთა რესპუბლიკა ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ერთგულად იცავს ვალდებულებებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და ბაზს უსვამს, რომ უკუაგდებს ისრაელის ყოველგვარ აგრესიას.

ბეირუთი, 18 ნოემბერი. (საკვლესი). ლიბანის პრემიერ-მინისტრმა რ. სოლამ გამართა საგანგებო თათბირი თავდაცვის მინისტრ ჟ. საფოთან და ლიბანის არმიის უმაღლეს ოფიცრებთან. თათბირზე განხილეს ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის გაუმჯობესება, რომელიც გამოწვეულია ისრაელის სამხედრო მზადებით. ეუწყებიან, რომ მიღებულია გადაწყვეტილება ქვეყნის სამხრეთის თავდაცვის გაძლიერების შესახებ, სადაც ლიბანის ნაწილები საბრძოლოდ არიან გამზადებულნი.

ისრაელი განაგრძობს შეიარაღებულ პროვოკაციებს ლიბანის წინააღმდეგ. როგორც თავდაცვის სამინისტრო იუწყება, შაბათს ისრაელის არმიის ქვეგანაყოფმა სცადა შეგრილიყო ლიბანის ტერიტორიაზე სოფელ აიტა აშ-შაბის რაიონში. ლიბანის ნაწილებმა ცეცხლი დაუშინეს მოწინააღმდეგეს და უკუაქციეს.

დღეს გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემების შესაბამისად, ლიბანის წინააღმდეგ ისრაელის აგრესიული აქტების შედეგად განვლილ კვირაში დაიხოცა 19 და დაიჭრა 28 მშვიდობიანი ლიბანელი მცხოვრები.

პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის ხელმძღვანელობამ თათბირების სერია გამართა, რომლებზეც განხილეს შექმნილი მდგომარეობა და ისრაელის აშკარა მუქარა ლიბანისა და სირიის წინააღმდეგ.

კაირო, 18 ნოემბერი. (საკვლესი). ისრაელის მხედრიონის პროვოკაციული მოქმედების შედეგად ახლო აღმოსავლეთში გამწვავებული მდგომარეობა ეგვიპტის საზოგადოებრიობის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს.

შექმნილი მდგომარეობის განხილვას მიეძღვნა პრეზიდენტ ა. სადათის მიერ გამართული თათბირი ქვეყნის მთელ რიგ უმაღლეს სამხედრო და სამოქალაქო ხელმძღვანელებთან. თათბირის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. ფაქმიმ მიიწვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი ქვეყნების ელჩები და გააცნო შექმნილი სამეში სიტუაცია.

ნიუ-იორკი, 18 ნოემბერი. (საკვლესი). ისრაელში კვლავ გაისმის მუქარა მეზობელი არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომელსაც თან ახლავს გაძლიერებული საომარი მზადება ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე.

უცხოეთის საინფორმაციო საგანგებო ცნობით, შაბათს ტელ-ავივში გამოვიდა თავდაცვის მინისტრი პერესი, რომელმაც აღიარა, რომ განახორციელეს სამხედრო ხასიათის მთელი რიგი ღონისძიებანი, კერძოდ საბრძოლოდ გაამზადეს ისრაელის ჯარები სირიასთან ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე.

ინგლისი



ლონდონი თავდაცვის სამინისტროს შენობის წინ გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან ინგლისის სამხედრო კავშირის წინააღმდეგ.

დემონსტრაციაში, რომელიც მოეწყო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აპარტეიდის პოლიტიკის წინააღმდეგ მოძრაობის ინიციატივით, მონაწილეობდა 20 პარლამენტარი ლეიბორისტი. საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა დიდ ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრს გადასცეს პეტიცია, სადაც მოითხოვენ ლეიბორისტთა წინასაარჩევნო დაპირების შესრულებას იმის თაობაზე, რომ გადასინჯავდნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რეჟიმთან სამხედრო შეთანხმებებს.

სურათზე: დემონსტრაცია თავდაცვის სამინისტროს შენობის წინ.

მიღწეულია შეთანხმება

ჟენევა, (საკვლესი). აქ დამთავრდა საბჭოთა კავშირ-შვეიცარიის საკონსულო მოლაპარაკება 1975 წელს საკონსულო ურთიერთმიწოდებას შესახებ. მოლაპარაკებაზე საბჭოთა დელეგაციას მეთაურობდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ნ. მანკუნენ.

მოლაპარაკების შედეგად მიღწეულია შეთანხმება, რომ 1975 წელს საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ ოქმს ხელს მოაწერენ მოსკოვში 1974 წლის 22 ნოემბერს.

18 ნოემბერი

ტელეტაიპის ლენტიდან

საკვლესი მვეტყობინებს

ჯ. ფორდი ტოკიოში ჩავიდა

● **ტოკიო,** (საკვლესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. ფორდი დღეს ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდა იაპონიის დედაქალაქში. იგი მოლაპარაკებას გამართავს იაპონიის პრემიერ-მინისტრთან იაპონია-ამერიკის ურთიერთობის საკითხებზე და მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებზე.

ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

● **დასავლეთი ბერლინი,** (საკვლესი). პარტიის წინასაარჩევნო პროგრამის მიღებით დაამთავრა აქ თავისი მუშაობა დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის IV ყრილობამ.

პროგრამა მოუწოდებს დასავლეთბერლინელ ამომრჩევლებს მხარი დაუჭირონ 1975 წლის 2 მარტს მის კანდიდატებს დეპუტატების საქალაქო და რაიონული კრებების არჩევნებში.

დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს გ. დენელეუხი.

კატასტროფა თავიდან აიცილეს

● **რომი,** (საკვლესი). ალექსანდრიიდან სავონაში შაბათს მომავალი სამგზავრო მატარებელი 6 წუთით ადრე ადგებოდა. ამ გარემოების გამო თავიდან იქნა აცილებული სერიოზული კატასტროფა რკინიგზაზე იტალიის ლიგურიის ოლქში.

იქვე მახლობლად მყოფმა მუშებმა შეძლეს მატარებლის შეჩერება რამდენიმე ათეულ მეტრზე იმ ადგილიდან, სადაც ძლიერი აფეთქება მოხდა, რომელმაც დაანგრია რკინიგზის ხაზი. ბორტმოქმედი იმედოვნებდნენ, რომ მატარებელი ასცდებოდა რელსებს ხიდზე სავონის მახლობლად. ამ ბოლო ხანს ქალაქ სავონაში ფაშისტები განსაკუთრებით გააქტიურდნენ. ქალაქის ცენტრში მათ ძლიერი აფეთქება მოახდინეს, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა გარშემო მდებარე შენობებს. ქალაქის მცხოვრებნი აღშფოთებული არიან ამ აქციებით და მოითხოვენ მტკიცე ღონისძიებების განხორციელებას ფაშისტ დამნაშავეთა ძირგამომთხრელი მოქმედების აღკვეთისათვის.

ქართველი პიანისტის გამარჯვება

ბრაღა, 18 ნოემბერი. (საკვლესი). ახალგაზრდა საბჭოთა პიანისტმა — თბილისის ფილარმონიის სოლისტმა მ. დოიჯაშვილმა გაიმარჯვა ბ. სმეტანას სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსში, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ქალაქ გრადეც-კრალოვში მიმდინარეობდა.

ორი მეორე ადგილი ახალგაზრდა შემსრულებელთა ამ კონკურსში, რომელშიც მონაწილეობდნენ 28 წლამდე ასაკის მუსიკოსები, ბერეთვე ერგოთ საბჭოთა პიანისტებს — **მოსკოველ მ. აბრამიანს და ერევანელ ა. პაპაზიანს.**

ბ. სმეტანას სახელობის კონკურსის გამარჯვებული მ. დოიჯაშვილი დაჯილდოებულია ტრადიციული პრიზით — „პეტროვის“ მარკის პიანინოთი, რომლებსაც ამზადებს მთელ მსოფლიოში ცნობილი **გრადეცკრალოვის მუსიკალურ ინსტრუმენტთა ქარხანა.**

უცხოური მოზაიკა

გულმავიწყი მძარცველები

მძარცველებმა ზუსტად გაიანგარიშეს „ოპერაციის“ ყველა დეტალი და სულ ერთიანად დაეცარიელეს ამერიკის ქალაქ დენის (ქაროლინას შტატი) სასტუმროს სალარო. ხარბმა მძარცველებმა მოსამსახურეებიც ეკიკი გაჩხრიკეს და აართვეს ავტოკალმები, პალსტუხის სამაგრეები და სხვა წვრილმანი, სულ რაღაც 30 დოლარის ღირებულებისა, და გაეცალნენ იქაურობას. როცა შეშინებული სასტუმროს მმართველი გონს მოვიდა, კინაღამ მაშინვე გული არ წაუვიდა, სეიფის გვერდით სავარძელში ხელოსნებლად რომ იდო ათიათასდოლარიანი შეკვრა, რომელიც გულმავიწყ მძარცველებს დარჩენოდათ.

ვისკი და რასიზმი

მსოფლიოში ხახელგანთქმული შოტლანდიური ვისკი „თეთრი ცხენი“ განსაკუთრებით პოპულარულია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. ეს სპეციალურად ხაზგასმითაც კია აღნიშნული ამ ვისკის მწარმოებელი ფირმის ყოველწლიურ ანგარიშებში. ამ ბოლოდროინდელ ანგარიშში, მაგალითად, აღნიშნული იყო: „სამხრეთ აფრიკის ბაზარი ყველაზე დიდია აფრიკაში. „თეთრი ცხენი“ ჩინებულად ხალდება და მას ვერცერთი სხვა ვისკი ვერ უწევს კონკურენციას“. როგორც ინგლისელმა ეურნალისტებმა შენიშნეს, ამის მიზეზი ის არის, რომ სამხრეთ აფრიკელი სპირტისმოყვარულნი აშკარა ბოიკოტს უცხადებენ ვისკის, რომლის სახელწოდებაა „თეთრი და შავი“, თუმცა იგი ხარისხით „თეთრ ცხენზე“ ბევრად უკეთესია.

ახალი ამბების საკინძის მასალებიდან.

X. ფორდის განცხადება

ვაშინგტონი, 17 ნოემბერი. (საკვლესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა განაცხადა, რომ საჭიროა უხვრფესად მოწესრიგდეს მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში. ეურნალ „ი. ს. ნიუს ენდ უორლდ რიპორტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ჯ. ფორდმა აღნიშნა, რომ ახლო აღმოსავლეთის პრობლემა ფრიად სერიოზულია და რომ მშვიდობიანი მოწესრიგება უაღრესად საჭიროა.

ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია დაუსრულებლივ გვქონდეს საქმე ქვეყნების ფრიად მერყევ ურთიერთობასთან ამ რაიონში, თქვა პრეზიდენტმა, ან არ ვითვალისწინებდეთ პალესტინელი ხალხის კანონიერ ინტერესებს.

ჯ. ფორდმა აღნიშნა, რომ ვარაუდი, თითქოს მოსალოდნელი იყოს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ჩარევა ახლო აღმოსავლეთის საქმეებში ნათობის მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით, „არ ემყარება რემოვის ცნობილ რაიმე ვეგმას“.

შეიქმნა ახალი მთავრობა

ანკარა, 18 ნოემბერი, (საკვლესი). თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ფაარი კორუთურქმა მოიწონა ახალი მთავრობის შემადგენლობა სენატორ სადი ირმაკის მეთაურობით

საქართველოს ჭოა-ბაღში

კომკავშირული საგზურებით

მიმდინარეობს სამხედრო სამსახურში გაწვევა

გასაწვევთა რესპუბლიკური შესაკრები პუნქტი. ამ დღეს საქართველოს დედაქალაქიდან მორიგი ეშელონით წავიდა ჩვენი სახელოვანი შეიარაღებული ძალების ახალგაზრდა შვილები.

ტრადიციისამებრ საბჭოთა არმიის რიგებში ყოველი გაწვევის დროს გახაწვევთა ნაწილს სდებენ დიდ პატივს — კომკავშირული საგზურებით იმსახურონ საქართველოს კომკავშირის საშეფო კრეისერ „კარსნი კავკაზზე". წლეულს ეს პატივი ხუთ ფოთელ ბაბუას ხვდა წილად: კოლეში საქართველოს ჩემპიონებს, ძმებს ბადურ და მერაბ სიჭინავებს, ა. მამფორიას, კ. ჭითანავას და ს. სოლომონიას. შეკრებილთა ტაშის გრიალში მათ იქვე გადაეცათ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საგზურები კრეისერის ეკიპაჟში ჩარიცხვისათვის.

მათთან ერთად წითელდროშოვან ზავი ზღვის ფლოტსა და სამხედროთა ჯარებში სამსახურისათვის საქართველოს ბევრი სხვა წარგზავნილიც მიდის. მათ შორის არიან კომუნისტები — ენგურჰესის მშენებლობის სამთო ოსტატი ლ. ჭითანავა, რკინა-ბეტონის ნაკეთობათა კომბინატის ტექნიკური კონტროლის განყოფილების ოსტატი ს. ჩიქოვანი, კომკავშირელები — რუსთავის ქიმიური კომბინატის საამქროს ოსტატი, სამხედრო ოსტატობის კანდიდატი რ. ბუეხრიკიძე, ჯორის გზაგამანაწილებელი სადგურის ზენეკალი ა. ბასილაშვილი, თბილისის იზოტოპების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ელექტროკარის მძღოლი ვ. მოგჩანი და სხვა.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში გასაწვევთა მორიგი პარტიის გაგზავნასთან დაკავშირებით შესაკრები პუნქტის მოედანზე გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. იგი გახსნა გენერალ-მაიორმა გ. შურუსიძემ. სამხედრო ორკესტრმა შეასრულა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

წვევამდელებს გულთბილად დაულოცეს გზა, უსურვეს ბედნიერი მგზავრობა სამსახურის ადგილამდე და თავიანთი სამხედრო მოვალეობის პირნათლად შესრულება. რეპუბლიკის სამხედრო კომისარიატის პოლიტგანყოფილების უფროსმა პოდპოლკოვნიკმა რ. ნორაძემ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა გ. ჯერვალიძემ, თბილისის № 81 საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლემ გ. მაკსო